

# საქართველოს მთავრობის

დადგენილება №301

2011 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1.** პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 99-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №583 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური**

**დანართი**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 იანვრის დადგენილება №15 - ვებგვერდი, 18.01.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 მარტის დადგენილება №117 - ვებგვერდი, 07.03.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №583 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) მიერ გაწეული მომსახურების საფასური განისაზღვრება:

ა) აკრედიტაციისა და აკრედიტებული პირების მონიტორინგის სამუშაოებისათვის;

ბ) ცენტრის მიერ ორგანიზებული სწავლებებისა და კონფერენციებისათვის.

2. ამ წესით დაწესებული საფასურები მოცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე.

3. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, ცენტრის წარმომადგენლების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ მომსახურების გაწევისას დაინტერესებული მხარე დამატებით ფარავს მათ სამივლინებო ხარჯებს.

4. აკრედიტაციისა და აკრედიტებული პირების მონიტორინგის სამუშაოების მომსახურების საფასური - H-ის ღირებულება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$H=A+B+T,$$

სადაც:

A არის დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში აკრედიტაციისათვის შეტანილი განაცხადის განხილვის საფასური;

B არის ძირითადი საფასური;

T არის ტექნიკური შემფასებლის (ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეული სპეციალისტის) ანაზღაურება, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$T=100+15xN,$$

სადაც:

100 არის ერთი ტექნიკური შემფასებლის საბაზო ანაზღაურება ლარებში;

ხოლო 15 არის მისი ანაზღაურება ერთ შესაფასებელ სფეროში, ლარებში.

5. A და B საფასურები განისაზღვრება №1 დანართის შესაბამისად.

6. უცხოელი ტექნიკური შემფასებლის მოწვევის შემთხვევაში მისი ანაზღაურება განისაზღვრება მხარეებს შორის შეთანხმებით, კონტრაქტის საფუძველზე. N არის შესაფასებელი სფეროების რაოდენობა, რომელიც:

ა) ლაბორატორიების (გარდა საკალიბრებელი ლაბორატორიებისა) აკრედიტაციის დროს განისაზღვრება „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის №351 დადგენილებით მიღებული სასაქონლო კოდექსის პირველი 2 ან პირველი 4 ციფრით, პროდუქტის ერთგვაროვნების მიხედვით;

ბ) საკალიბრებელი ლაბორატორიების აკრედიტაციის დროს განისაზღვრება გაზომვის საშუალებების ჯგუფების კოდიფიკატორის MII-2314-2006 კოდექსის პირველი 4 ციფრის მიხედვით;

გ) პროდუქციის (მომსახურების, პროცესების) სერტიფიკაციის ორგანოებში უდრის იმ დოკუმენტების რაოდენობას, რომელთა მიმართ უნდა შეფასდეს პროდუქციის (მომსახურების, პროცესების) შესაბამისობა სერტიფიკაციის დროს;



დ) პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოებში განისაზღვრება პერსონალის შესაფასებელი კვალიფიკაციისა და მის მიმართ მოთხოვნების შემცველი დოკუმენტების კომბინაციათა რაოდენობით;

ე) მენეჯმენტის სისტემების სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის დროს განისაზღვრება IAF (აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი) კოდების მიხედვით;

ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების სხვადასხვა სფეროში გამოითვლება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №37 დადგენილებით განსაზღვრული კატეგორიების შესაბამისად;

ზ) ინსპექტირების ორგანოების (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოებისა) შემთხვევაში, განისაზღვრება შესაფასებელი ობიექტისა და მის მიმართ მოთხოვნების შემცველი დოკუმენტების კომბინაციათა რაოდენობით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების რეგისტრაციისა და მონიტორინგის საფასური იგივეა, რაც ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციისა და მონიტორინგის საფასური;

თ) საკვალიფიკაციო ტესტირების პროვაიდერის შემთხვევაში, განისაზღვრება საკვალიფიკაციო ტესტირების სფეროების რაოდენობით.

7. ლაბორატორიებსა და სერტიფიკაციის ორგანოებში შესაფასებელ პროდუქციაზე ნიმუშის აღების პროცედურები ემატება N-ის საერთო რაოდენობას.

8. თუ სფერო არ მოიძიება ამ წესის მე-6 პუნქტში მითითებულ დოკუმენტებში, მაშინ N უდრის შესაფასებელი ერთგვაროვანი ტიპის ობიექტების რაოდენობას.

9. საკალიბრებელი ლაბორატორიისა და დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამმოწმებელი პირის აკრედიტაციისათვის დასაშვებია ერთიანი განაცხადის შეტანა. ამ შემთხვევაში, განმცხადებელი იხდის განაცხადის განხილვის (A) ერთ საფასურს, ხოლო B და T იანგარიშება ცალ-ცალკე.

10. ცენტრი ორგანიზებას უწევს შემდეგ სწავლებებს და კონფერენციებს:

ა) ფიზიკურ პირთა სწავლება – ცენტრის მიერ აკრედიტაციისა და მონიტორინგის სამუშაოებში მათი მოწვეული ტექნიკური შემფასებლის სტატუსით ჩართვის მიზნით. ასეთი სწავლება გამომდინარეობს ცენტრის ინტერესებიდან და იგი ხორციელდება საფასურის გარეშე;

ბ) სწავლება დაინტერესებული მხარეებისათვის აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელთა საფასური დგინდება ამ წესის №2 დანართით;

გ) ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში მონაწილეობის საფასური განისაზღვრება ცენტრის გენერალური დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით.

11. ხელშეკრულების საფუძველზე მიწვეული გარე წამყვანი შემფასებლის ერთჯერადი მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება დარიცხული 375 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა ანაზღაურდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ.

12. „ტექნიკური რეგლამენტის – „ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და პერსონალის ტექნიკური კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 1 დეკემბრის №511 დადგენილებით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციის დამატებითი პირობები, მათ შორის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის წარდგენის ვალდებულება, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის დებულებით.

**დანართი №1**

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №583 - ვებგვერდი, 29.12.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 იანვრის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 16.01.2018წ.

№	მომსახურება	განაცხადის საფასური A (ლარებით)	ძირითადი საფასური B (ლარებით)
1	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $p \leq 30$	500	1700
2	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $30 < P \leq 80$	500	2100
3	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $80 < P \leq 130$	500	2500
4	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $130 < P \leq 180$	500	2900
5	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $180 < P \leq 230$	500	3300
6	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $230 < P \leq 280$	500	3700
7	ლაბორატორიის აკრედიტაცია, $P > 280$	500	4100
8	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი, $P \leq 30$	-	1200



9	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $30 < P \leq 80$	-	1400
10	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $P > 80$	-	1600
11	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $80 < P \leq 130$	-	1800
12	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $130 < P \leq 180$	-	2200
13	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $180 < P \leq 230$	-	2600
14	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $230 < P \leq 280$	-	3000
15	აკრედიტებული ლაბორატორიის მონიტორინგი $P > 280$	-	3400
16	ლაბორატორიის აკრედიტაცია დამატებით სფეროში, $P \leq 20$	250	600
17	ლაბორატორიის აკრედიტაცია დამატებით სფეროში, $P > 20$	250	800
18	სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია	500	$1700 + 100 \times N$
19	აკრედიტებული სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მონიტორინგი	-	$1200 + 100 \times N$
20	სხვადასხვა ტიპის სერტიფიკაციის ან ინსპექტირების ორგანოს, მათ შორის, დაკანონებული გაზომვის საშუალებების დამამოწმებელი პირისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაცია დამატებით სფეროში	250	$1200 + 100 \times N$
21	დამატებითი უზნის/ფილიალის შეფასება		$1200 + 100 \times N$
22	ყოველი დამატებითი (ერთზე მეტის შემთხვევაში) ინსპექტირების ხაზის შეფასება ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში აკრედიტაციის დროს		1700
23	ყოველი დამატებითი (ერთზე მეტის შემთხვევაში) ინსპექტირების ხაზის შეფასება ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში მონიტორინგის დროს		1200
24	ყოველი ახალდამატებული ტექნიკური მენეჯერის ან ინსპექტორის კვალიფიკაციის დადასტურება ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრში არაგეგმური მონიტორინგის დროს		1200
25	აკრედიტაციის მოწმობის ასლის გაცემა ინგლისურ ან რუსულ ენაზე		90
26	წინასწარი შეფასება (ტარდება მხოლოდ განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში)	300	800

**შენიშვნა 1:**  $P = 10 \times N + M$ , სადაც P არის ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს სიდიდის კოეფიციენტი, 10 არის შესწორების კოეფიციენტი, ხოლო M – შესაფასებელი ტესტირების, საკალიბრებელი ან გაზომვის მეთოდების რაოდენობა.

**შენიშვნა 2:** დანართი 1-ის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის აკრედიტაციისათვის/მონიტორინგისათვის განსაზღვრული საფასურები უნდა გამრავლდეს ქვემოთ მოყვანილ კოეფიციენტებზე საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის ან/და მათი ფილიალებისათვის:

	კოეფიციენტი
თბილისი	5
აჭარა	
ბათუმი	5
ქედა	1



ქობულეთი	2
შუახევი	1
ხელვაჩაური	1
ხულო	1
გურია	
ლანჩხუთი	2
ოზურგეთი	2
ჩოხატაური	1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	
ქუთაისი	5
ბაღდათი	2
ვანი	2
ზესტაფონი	3
თერჯოლა	2
სამტრედია	2
საჩხერე	2
ტყიბული	2
წყალტუბო	2
ჭიათურა	2
ხარაგაული	1
ხონი	1
ამბროლაური	1
ლენტეხი	1
ონი	1
ცაგერი	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	
ზუგდიდი	3
ფოთი	3
აბაშა	1
მარტვილი	1
მესტია	1
სენაკი	2
ჩხოროწყუ	1
წალენჯიხა	1
ხობი	1
კახეთი	
თელავი	2
ახმეტა	1
გურჯაანი	2
დედოფლისწყარო	1
ლაგოდეხი	2
საგარეჯო	2
სიღნაღი	2
წნორი	2
ყვარელი	2
სამცხე-ჯავახეთი	
ახალციხე	2
ადიგენი	1
ასპინძა	1
ახალქალაქი	2
ბორჯომი	1
ნინოწმინდა	1
მცხეთა-მთიანეთი	
დუშეთი	1



თიანეთი	1
მცხეთა	3
სტეფანწმინდა	1
ქვემო ქართლი	
რუსთავი	5
ბოლნისი	2
გარდაბანი	2
დმანისი	1
თეთრიწყარო	1
მარნეული	3
წალკა	1
შიდა ქართლი	
გორი	3
კასპი	1
ქარელი	1
ხაშური	3

დანართი №2

№	სწავლებაში მონაწილეთა რაოდენობა n	სწავლების ყოველდღიური საფასური ერთი პირისათვის (ლარებით)
1	$5 \leq n \leq 30$	100

